№6

ივნისი, 2023წ.

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი

სოფელ ტანძიაში სახალხო დღესასწაული ,,საბაობა 2023“ აღინიშნა

გვ:2

ბოლნისში პროფესიული კოლეჯის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს

გვ:3

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინიციატივით, ბოლნისში მუსიკალური საღამო გაიმართა

გვ:2

სოფელ ტანძიაში სახალხო დღესასწაული ,,საბაობა 2023“ აღინიშნა

ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტანძიაში, საერთო-სახალხო დღესასწაული “საბაობა 2023“ აღინიშნა, დიდი ქართველი მწერლის, დიპლომატის, მეიგავის და სასულიერო პირის სულხან-საბა ორბელიანის 365 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება “საბაობა 2023 სოფელ ტანძიაში მისსავე სახლ-მუზეუმში ჩატარდა. ლიტერატურული მუზეუმის ეზოში მდებარე, წმ. ნიკოლოზის სახელობის ორბელიანების საგვარეულო ეკლესიაში, ტრადიციულად, ბოლნელმა მთავარეპისკოპოსმა ეფრემმა სულხან-საბა ორბელიანის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა, ღონისძიება დატვირთული იყო კულტურული და შემეცნებითი აქტივობებით.

გაიმართა სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკებზე შექმნილი ანიმაციური ფილმის პრემიერა, „საბაობა 2023“-ის ფარგლებში, წარმოდგენილი იყო ადგილობრივი ხელოვანების ნამუშევრები და ეროვნული სამოსის გამოფენა-პერფორმანსი. სახალხო დღესასწაული ჯგუფი „შერეკილების” კონცერტით დასრულდა.

დავით შერაზადიშვილი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი:

-სოფელ ტანძიაში სახალხო დღესასწაული ,,საბაობა 2023“ აღვნიშნეთ. წელს საბას დაბადებიდან 365 წელი სრულდება და მოხარული ვარ, რომ ამ თარიღს ასე მასშტაბურად ვეხმიანებით. სულხან-საბა ორბელიანია ადამიანი, რომელმაც, ფაქტობრივად, განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და იდეოლოგიური რაკურსი. ჯერ კიდევ სამი საუკუნის წინ, საბა იყო სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც შეეცადა ევროპაში ჩვენი ისტორიული და კულტურული ადგილი დაგვებრუნებინა. დღეს ჩვენ ერთგვარად საბას გზას გავდივართ და თანდათან ვიმკვიდრებთ ადგილს იმ სივრცეში, რომელიც ქართული იდენტობის განუყოფელი ნაწილია. ახლა, როცა ასე ახლოს ვართ ევროპასთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება სულხან-საბა ორბელიანი, როგორც საზოგადო მოღვაწე და შემოქმედი. გილოცავთ ,,საბაობას!“ ვისურვებდი არასდროს დაგვევიწყებინოს საბას იდეალები და თითოეულ ჩვენგანს მასავით გვეზრუნოს ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ინიციატივით, ბოლნისში მუსიკალური საღამო გაიმართა

ბოლნისის კულტურისა და დასვენების პარკი ერთი დღით სრულიად ახალ სივრცედ გადაიქცა. ჟრიამული აქ მთელი დღის განმავლობაში ისმოდა. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით ფერადი,მხიარული და მუსიკალური საღამო მოეწყო.

ღონისძიებისთვის სამზადისი დილიდან დაიწყო. აქ მოსულ სტუმრებს არაერთი სანახაობრივი აქტივობა დახვდათ – გასართობი სივრცეები, ღია კაფეტერია, ფოტო სტენდები. გაიმართა ადგილობრივი მეწარმეების ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა.

ღონისძიება ყველა ასაკზე იყო გათვლილი. პატარებისთვის სხვადასხვა გასართობი და შემეცნებითი აქტივობა მოეწყო, გაიმართა ვორქშოპი, თოჯინების თეატრი და საპნის ბუშტების შოუ. ბავშვების განწყობაზე ზრუნავდნენ ანიმატორები და ზღაპრის გმირები.

საღამო კონცერტით დასრულდა, სადაც მონაწილეობა ბენდმა,,ბანდეროლმა'' და ,,ჩვენებურებმა''მიიღეს. ზაფხულის დღეების სასიამოვნოდ გატარების მიზნით, მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებული მუსიკალური საღამოები საქართველოს 64-ვე მუნიციპალიტეტში ჩატარდება.

ბოლნისში პროფესიული კოლეჯის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს

საქართველოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, პროფესიული კოლეჯის მშენებლობას ახორციელებს. სამშენებლო სამუშაოებს, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორი ლევან სუხიტაშვილი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერთან, მხარის გუბერნატორთან და საქართველოს პარლამენტის წევრთან ერთად, ადგილზე გაეცნო.

დავით შერაზადიშვილი; ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი:

ქალაქ ბოლნისში აქტიურად მიმდინარეობს პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა, რომელიც ახალგაზრდებს საშუალებას მისცემს დაეუფლონ სხვადასხვა პროფესიას. კოლეჯის კონცეფცია მორგებული იქნება დასაქმების ბაზრის მოთხოვნებზე და შესაბამისად, აქ მიღებული ცოდნით ადვილი იქნება, როგორც დასაქმება, ასევე შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში რეალიზება. პროფესიული სასწავლებლის მშენებლობისთვის 6 700 000 ლარია გამოყოფილი და სასწავლებელი სრულად იქნება მორგებული თანამედროვე სტანდარტებთან.

,,ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც ჩვენი თანამოქალაქეებისთვის, დიდი ხნის მანძილზე წარმოადგენდა გამოწვევას. მიმაჩნია, რომ პროფესიულ-საგანმანათლებლო მოთხოვნების განსაზღვრა და მათი დაკმაყოფილება, სოციალური დაცვის ხელშეწყობა,

კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადება - გადამზადება და დახმარება, დასაქმების კუთხით არსებული გამოწვევების დაძლევაში დაგვეხმარება''.- აღნიშნა საქართველოს პარლამენტში ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროს და წალკის მაჟორიტარმა დეპუტატმა გოგი მეშველიანმა.

პროექტის ფარგლებში, 150 სტუდენტეზე გათვლილი 3 სართულიანი შენობა, სრულ შესაბამისობაშია ევროპულ სტანდარტებთან, სასწავლო კომპლექსი აღიჭურვება თანამედროვე ინვენტარით და მოიცავს სხვადასხვა საგანმანათლებლო სივრცეებს, რომლის საერთო ღირებულება 6 700 000 ლარს შეადგენს.

ამომრჩეველი კენჭისყრის პროცესში მონაწილეობას ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით მიიღებს

საქართველოს პარლამენტის 2024 წლის არჩევნებში, ამომრჩეველი კენჭისყრის პროცესში მონაწილეობას ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით მიიღებს, ამასთან დაკავშირებით, ქვეყნის მასშტაბით, 64-ვე მუნიციპალიტეტში, საგანმანათლებლო პროექტი „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“ პოტენციური საუბნო-საარჩევნო კომისიის წევრებისთვის ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. ცესკოს და სწავლების ცენტრის პროექტი პროფილურია და მიზნად ისახავს დაინტერესებული პირების საუბნო-საარჩევნო კომისიების პოტენციურ წევრებად გადამზადებას, ამასთან კურსი ხელს უწყობს სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებასა და საარჩევნო კულტურის განმტკიცებას. სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებულ პროგრამაში მნიშვნელოვანი აქცენტები საარჩევნო პროცესში ინტეგრირებულ ტექნოლოგიურ სიახლეებზე კეთდება. საინფორმაციო-სასწავლო პროექტის მონაწილეების ჩართულობით, ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატისა და ხმის ელექტრონული მთვლელი აპარატის გამოყენებით, ტარდება კენჭისყრის პროცედურების ეპიზოდური ინსცენირება.

ამ ეტაპზე, ბოლნისის ოლქში აღნიშნული კურსი გაიარა 300-ზე მეტმა მონაწილემ. საარჩევნო ადმინისტრაცია აგრძელებს მოქალაქეთა ინფორმირებას, რადგან 2024 წლის არჩევნებს ამომრჩეველი მომზადებული შეხვდეს.

ლექსებში ჩატეული განვლილი წლები

მზია გომართელი წარმოშობით გარდაბნის რაიონიდანაა. იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა, პროფესიით ეკონომისტია. მისი გზები ბოლნისთან შემთხვევით გადაიკვეთა, თუმცა ეს შემთხვევითობა, მეუღლესა და სამ შვილთან ერთად ბოლნისში დამკვიდრებით დასრულდა, რაც ურთიერთობის 43 წელს ითვლის. იგი აქტიური ადამიანია - მუშაობდა ფოსტაში, ბუღალტრად, ეკონომისტად, ფოსტის უფროსის მოადგილედ.

ქალბატონი მზია ცხოვრების იმ წლებს გამოარჩევს, რომელმაც ბოლნისის სიონის ეკლესიასთან დააკავშირა. მეუფე ეფრემის ძალისხმევით, ამ დიდებული ტაძრის მესანთლე-გიდად იქცა, სწორედ იმ წლებში, როდესაც მას ეს ყველაზე მეტად სჭირდებოდა.

მზია იხსენებს სიონში გატარებულ წლებს, ხალხის სიყვარულს, რომელიც მას ტაძრისკენ მიმავალ ცივ, უამინდო, უტრანსპორტო გზის გავლას უადვილებდა . მესანთლეობასთან ერთად, ბოლნისის სიონის ისტორიას დაეუფლა და სტუმრებს უზიარებდა მის ცოდნას. ეძებდა მასალას, აკვირდებოდა ტაძარს, წარწერებს, ხატებს, ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი შეეტყო ამ ისტორიულ ტაძარზე .

იხსენებს, რომ მასწავლებლობა ბავშვობიდან სურდა, სტუმრებისთვის ისტორიის თხრობას სწორედ ამ პროფესიასთან აკავშირებს, დღესდღეობით იგი ბოლნისის მუზეუმში მუშაობს, ვიზიტორებს არტე-ფაქტებს აცნობს, რაშიც ტაძარში დაგროვილი გამოცდილებაც ეხმარება. ასევე, აღსანიშნავია, რომ შესანიშნავ ლექსებსაც წერს. როგორც ქალბატონმა მზიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ამ ნიჭს გენეტიკას უკავშირებს, იხსენებს საკუთარი მამისა და შვილის ლექსებს, ეს ყოველივე კი ტალანტის გამრავლების იგავს აგონებს. უფალმა ტალანტი გვიბოძა იმისათვის, რომ გავამრავლოთ , ასეც მოიქცა მესანთლე-გიდი, ამ ყველაფერში დიდი წვლილი, როგორც ირკვევა, მეგობარს მიუძღვის.

,, პანდემიის დროს, დავრჩი მარტო, მოგეხსენებათ, მთელი მსოფლიო ჩაიკეტა, რა უნდა მეკეთებინა და მეგობარს შევჩივლე, მან კი მითხრა, შენ ისე კარგად სწავლობდი სკოლაში, აუცილებლად უნდა წერო მოთხრობები, ლექსები. ლექსები, როგორც კი ახსენა, მენიშნა და ვცადე, პირველი ლექსი შვილიშვილს მივუძღვენი, მეორე კი უფალს.“

ქალბატონი მზიას ლექსები, ძირითადად უფალსა და უფლის მცნებებს ეძღვნება, რადგან თვლის, ვინც მის გვერდზეა ცხოვრების რთულ გზაზე, სწორედ უფალია, მარტო არასდროს არ ტოვებს, მზია გომართელი კი მადლიერებას ამ გზით გამოხატავს.

ლექსის წერა მარტივი პროცესი არ არის, ქალბატონი მზია პატარ-პატარა დანალექებს აგროვებს და შემდეგ ლექსად გარდაქმნის.

,,ლექსის წერის დროს თითქოს სულიც მღერის და ამ სულის ნაწილი გამოდის“

სიცოცხლის ხარო!!

გთხოვ მომეც ღმერთო-- რაიმე რითმა,

გონება გაშრა --მთლად დაიწრიტა!

საზრდო აღარ მაქვს, მინავლდა- მიჰქრა,

საღმა ფიქრებმაც-- ფეთქვა შეწყვიტა!

ყველაზე კარგი და სანუკვარი...

რითაც დავქროდი ავდარში- დარში,

დარდმა წამართვა--ხელი არ ვკარი,

გადამეღობა როგორც აფთარი!..

რისთვის იშრომე, რისთვის იწვალე?

თუ კაცის ცნობა-- ვეღარ ისწავლე.

და კიდევ, თუკი--ტკივილი იგრძენ,

მაშ სცენაზე ხარ --იმარჯვე ისევ!...

შენ მესაქე ხარ, შენი ცხოვრების...

ხელს თუ გაუშვებ-- გადიჩეხები..

შუქნიშანია- გამოფხიზლების, ზედმეტ ნდობას თუ გადაურჩები!...

უფალი გვიხმობს, გვცდის და გვასწავლის!

გზაზე გვხვდებიან

ავან- ჩავანი...

ცხოვრების გზაზე

ცუდად მავალნი..

ბრმანი არიან და წარმავალნი!...

დარდს ნუ ჩაყვები

შეიცან თავი..

მაღლა იხედე დაგნათის ციდან...

დროს ნუ დაკარგავ-- დრო არის წამი..

იმედის სხივი,

ანათებს-- იცან!!

ბნელს თუ გაქექავ--ვარდები- ყვინთავ..

სიცოცხლის ხეს კი--

აჰყავხარ- გიცავს..

სიკეთით მას თუ დავხუნძლავთ მარად,

სიყვარულს თვითონ გვიგზავნის კვალად!!!

24 მაისი, 2022 წ.

ლექსის წერა მისთვის თავისუფლებასთან ასოცირდება, უფრო კონკრეტულად კი სულის თავისუფლებასთან.

თავის შემოქმედებას, ძირითადად ფეისბუკის საშუალებით უზიარებს საზოგადოებას, ხალხის სითბო და მოწონება მას დიდ მოტივაციას აძლევს.

,,ვფიქრობ, ყველა ადამიანშია რაღაცის ნიჭი, ამიტომ ვურჩევ საზოგადოებას ეძიონ, იპოვონ და შემდეგ გაამრავლონ იგი“ - აღნიშნავს ჩვენთან საუბარში მზია გომართელი.

- წიგნის გამოცემაზე ხომ არ გიფიქრიათ?

- კი, რა თქმა უნდა, ნაფიქრი მაქვს, თითქმის უკვე მზად მაქვს გამოსაცემად .

- წიგნის სახელზე რას იტყვით, ხომ არ შეგირჩევიათ?

- ,,მოსასხამი ნათელი“ ან ,,კვალი ნათელი“ , უფრო პირველი. ასე დავარქმევ წიგნს, რომელსაც გამოვცემ.

- და ბოლოს, გვითხარით რა არის თქვენი სურვილი ?

- ძალიან მტკივა გახლეჩილი, გაყოფილი საქართველო. ვისურვებდი, ხალხის გაერთიანებას, შერიგებას, მორიგებას, მეტ პატიებასა და სიყვარულს. ვფიქრობ, სიყვარული გადაარჩენს მსოფლიოს.

გაზაფხულივით შეუცნობელი!!!

* * * * * * * * * *

გაზაფხულივით უცნობო ქალო,

ხან მოღრუბლულო ხან კი “ალმასო” !...

ცვალებადობა შერწყმულა შენში..

გსურს რომ ცხოვრება გაალამაზო!

აი ეს არის ხიბლი ქალური,

არ ნასესხები; “დასთა”- დალური...

გამოუცნობი ვაჟთა ბუნებით!..

ინტერესების კრებთა

ნაჟური!...

ბრძოლის ველზე ხარ

მუდამ ჩაბმული..

ხან მომხიბლავი, ხან ჯარს გასული!...

ტალღის მთის წვერზე

მაღლა ასული...

ხან დავარდნილი..

მიწას გართხმული !..

კვლავ წამომდგარი, არ დანებებით..

ახალი გზების მაძიებელი!...

შენი ხიბლით და გონიერებით...

ბოროტი ძალის დამტყვევებელი!...

ხარ “ კიდობანი” გადამრჩენელი,

ზღვის ძლიერ ტალღას

მინებებული..

ხან სანაპიროს მშვიდად გასული..

თვალ- მარგალიტად

მიმობნეული!...

თოვლიან მთებში ნაზი

ყვავილი...

ძნელად რომ მოსწყვეტ ...ხარ კმაყოფილი!...

მარტის თვესავით

ამოუცნობი, ღვთის ძლიერ ხელით გამოძერწილი!...

შენ ხომ დედაც ხარ, სიცოცხლის მშობი,..

ძალა კერიის და კაცთა

მოდგმის!...

ამიტომ მოგცა დედა- ბუნებამ,..

ბეჭედი შენი უძლეველობის!...

შენი იმედით არის სამყარო,

მზესავით მნათო, ბურჯო - მართალო!..

უხვი სხივები გადააფინე!...

რომ დედამიწამ კვლავ იტრიალოს!!!...

მ. გომართელი

2022 წ. 13 მარტი

აქვს თუ არა ასაკი პედაგოგობას და რას ნიშნავს ამ სტატუსით ცხოვრება

ჩვენი გაზეთის ერთ-ერთმა რუბრიკამ, რომელიც „პანდემიის თაობის“ სახელით გაჩნდა ბექდურ მედიაში, იცვალა სახელწოდება და ამჯერად, „დაასახელე მომავალი რესპოდენტი“-ს სახელით, კიდევ უფრო ახლოს გაგაცნობთ საინტერესო ადამიანებს. რესპოდენტი, რომელზეც გიამბობთ, ვერასდროს წარმოიდგენდა თავს იმ ამპლუაში, რომელშიც ახლაა. პროფესია მისთვის მხოლოდ შემოსავლის წყარო არაა. მიუხედავად იმისა, რომ სულ რაღაც 2 წელია, რაც პედაგოგის სტატუსი აქვს. ფიქრობს, რომ ეს პროფესია მისია. იცის მისი სუსტი მხარეც, მაგრამ ეს ხელს არ უშლის საყვარელ საქმიანობაში. ცდილობს იყოს მაქსიმალურად მობილიზებული, რათა ცუდი მაგალითი არ გახდეს მოსწავლეებისთვის. უბედნიერესია მათთან ურთიერთობით, თვლის, რომ კარგია გაკვეთილი, როდესაც ყველაზე პასიური მოსწავლე გამოგაცილებს კლასიდან და გეტყვის: ,,მადლობა მასწ, ყველაფერი გავიგე“. ამ დროს ფიქრობს, რომ ფრთები გამოესხა .

ხატია, ჩემს რუბრიკაში, ერთ-ერთმა წარმატებულმა მოსწავლემ მარიამ კორტავამ დაგასახელათ და თქვენთვის სახალისო კითხვა დატოვა : ,,რომელი თეორემით დაამტკიცებთ “ქეშმარიტებას”: ,,სიყვარული ვერტიკალურია, თან ბრუნვადი”?

-სიყვარულს, ფორმულებითა და თეორემებით, ვერ დაამტკიცებ. ამისთვის მთელი ცხოვრებაა საჭირო. ყველას არ აქვს ამის ნიჭი. მარიამის სახალისო კითხვაზე, ცოტა არ იყოს, ზედმეტად სერიოზული პასუხი გამომდის, მაგრამ ვფიქრობ, ეს თემა არ იმსახურებს ხუმრობით საუბარს. თანაც დღევანდელობაში სიყვარულის ნაკლებობა გვაქვს ადამიანებს და ვისურვებდი, ერთმანეთისადმი უფრო მეტი სიყვარულის გამოხატვა შეგვეძლოს, რომ უფრო მეტად გავაბედნიეროთ ერთმანეთი.

-ვინ არის ხატია მღვდელაძე, მოგვიყევით თქვენს შესახებ

ხატია მღვდელაძე არის ერთი ჩვეულებრივი მოქალაქე, რომელიც დაიბადა და გაიზარდა ყველაზე თბილ ოჯახში. დღეს მქვია დედა, მეუღლე და ყველაზე მძიმე სატარებელი სტატუსი, რომელიც უკვე მეორე წელია მაქვს-მასწავლებელი.

-რა არის თქვენთვის თქვენი პროფესია?

-ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ეს პროფესია ოდესმე ჩემს ცხოვრებაში ადგილს დაიკავებდა. საკმაოდ გვიან აღმოვაჩინე ჩემში იმის ძალა, რომ საერთოდ მეფიქრა გავმხდარიყავი მასწავლებელი. თუ რამე მაკლდა მანამდე ცხოვრებაში, ეს იყო სწორედ პროფესია - მასწავლებელი. ეს არ არის ჩემთვის მხოლოდ სამუშაო, ან სამსახური, რომელშიც მხოლოდ შემოსავლის წყაროს ვხედავ. ეს არის ადგილი, სადაც მთელი გულით ვმუშაობ და ეს ყველაფერი, უზომოდ დიდ სიამოვნებას მანიჭებს. უდიდესი ბედნიერებაა მოსწავლეებთან მუშაობა, მათი ანთებული თვალების ცქერა, ენერგიით მავსებს თითოეული მათგანის სიყვარული.

- რა შეიცვალა ცხოვრებაში მას შემდეგ, რაც გააცნობიერეთ, რომ ხართ მასწავლებელი

-მასწავლებლობა ჩემთვის იმდენად წარმოუდგენელი იყო, რომ ამ სტატუსით ცხოვრებას მალე ვერ შევეჩვიე. ზოგჯერ მეგონა, რომ სიზმარში ვიყავი. თუმცა მოსწავლეებმა ისე მიმიღეს და ისეთი მეგობრული ურთიერთობები ჩამომიყალიბდა, რომ აღარც კი მახსოვს ის ემოციები, როდესაც პირველად შევდიოდი საკლასო ოთახში და ჩემი ნერვიულობა პიკს აღწევდა. ახლა, როდესაც გაცნობიერებული მაქვს, თუ სად ვარ და რას ვაკეთებ, ვარ უბედნიერესი.

-რა არის თქვენი სუსტი და ძლიერი მხარე ბავშვებთან ურთიერთობაში?

ჩემი სუსტი მხარე ალბათ ის უფროა, რომ არ შემიძლია დიდხანს ვიყო ,,გაბრაზებული მასწავლებელი“. თუ ბავშვს შენიშვნას ვაძლევ, მერე ამაზე მე უფრო ვნერვიულობ, მაინც უფრო მეგობრულ დამოკიდებულებას და თბილ სიტყვას ვამჯობინებ, მათთან ურთიერთობისას.

-როგორ ფიქრობთ, შეგიძლიათ ბავშვში ცვლილების შეტანა, მაგალითად სიზარმაცის დაძლევაში დახმარება?

-ვფიქრობ, შემიძლია მათზე ზეგავლენის მოხდენა და სასიკეთო ცვლილებების შეტანა. ერთ-ერთი სტიმული, როდესაც მასწავლებლობა გადავწყვიტე, სწორედ ეს იყო. რადგან ერთ დღეს აღმოვაჩინე, რომ მოსწავლე, რომელიც მანამდე ითვლებოდა სუსტად, ჩემთან ურთიერთობის შემდეგ, მისი აკადემიური მოსწრება და გაკვეთილზე ჩართულობა, შესამჩნევად გაუმჯობესდა. ჩემი აზრით, ყველა ჩვენგანს გვაქვს საშუალება, ბავშვებში გავზარდოთ მოტივაცია, მათ ჩვენივე ქცევით უნდა დავანახოთ, როგორ შეიძლება გახდნენ უკეთესები. როდესაც ბავშვს უყვარხარ, პატივს გცემს და ხედავს შენს პასუხისმგებლიან საქციელს, ისიც ცდილობს, რომ დაგემსგავსოს.

- როგორია თანამედროვე ბავშვი?

-თანამედროვე ბავშვები კომპიუტერის ტვინებით იბადებიან. მათთან ურთიერთობის დროს შეცდომის დაშვება არ შეიძლება. ისეთი განვითარებული აზროვნება აქვთ, რომ მათგან ბევრი რამის სწავლაა შესაძლებელი. არ მოგცემენ საშუალებას, რომელიმე მათგანი უგულებელჰყო. თავს არავის დააჩაგვრინებენ. ამ თაობას უნდა ჩვენი ქვეყანა აქციოს ძლიერ სახელმწიფოდ. მათ ძლიერი და დამოუკიდებელი ქვეყანა სჭირდებათ.

- როგორ შეაფასებდით თქვენს პროფესიას?

-ყველაზე საპასუხისმგებლო პროფესიაა, ჩემი აზრით, როცა ადამიანის ფორმირების პროცესში იღებ მონაწილეობას. შენი თანამონაწილეობის შედეგად, შესაძლებელია სრულიად სხვა პიროვნებად ჩამოყალიბდეს, ბევრი რამაა დამოკიდებული მასწავლებელზე, რადგან ის მხოლოდ ცოდნის მიმცემი კი არა, ბავშვის აღმზრდელიცაა. ჩემი მოსწავლე შეიძლება ვერ გახდეს უდიდესი მეცნიერი, მაგრამ იყოს ადამიანი, ადამიანური თვისებებით, რომლის ჩამოყალიბებაშიც წვლილი მექნება შეტანილი.

-განათლების ხარისხზე დგას ჩვენი სახელმწიფო, როგორც პედაგოგი თქვენი პასუხისმგებლობის დოზები.

-რა თქმა უნდა, უდიდესი წვლილი აქვს მასწავლებელს განათლების ხარისხზე პასუხისმგებლობაში. მე ვგრძნობ ამ პასუხისმგებლობას და მაქვს გააზრებული, თუ რამხელა საქმეს შევეჭიდე.

- რა არის პედაგოგიური მარცხი, ხომ არ მოგსვლიათ?

-თუ შენს საქმეს ძალით აკეთებ, მოსწავლეებთან ურთიერთობა არ გამოგდის, არ გესმის მათი წუხილები, თუ გაკვეთილის გაცდენა გიხარია და კლასში შესვლა შენთვის სასჯელია, მაშინ შენ პედაგოგი არ ხარ და ესაა, ყველაზე დიდი მარცხი. საბედნიეროდ, ამ ყველაფრისგან შორს ვარ. ოდესმე რომელიმე მათგანი თუ დამემართა, მაშინვე დაუფიქრებლად დავტოვებ ამ პროფესიას.

- თქვენს პროფესიას ასაკი აქვს?

-იცით, ვფიქრობ, რომ კი. თაობათა შორის დიდი სხვაობის შემთხვევაში, ურთიერთობებში უკვე თავს იჩენს გარკვეული პრობლემები. გარდა ამისა, თანამედროვე სამყარო ისე სწრაფად ვითარდება, ზოგჯერ რთულია ფეხი აუწყო ცვლილებებს. ამიტომ, მე მაინც ვფიქრობ, რომ გარკვეული ასაკის შემდეგ, არა მარტო პედაგოგს, სხვა პროფესიის ადამიანებსაც უნდა ჰქონდეთ იმის საშუალება, რომ მშვიდად დათმონ თავიანთი პროფესია და ახალგაზრდა თაობას გადასცენ სადავეები.

-როგორ უთავსებთ ერთმანეთს ოჯახს და პროფესიას, თუ გაქვთ თავისუფალი დრო და რას აკეთებთ ამ დროს?

-ჩვენი საქმიანობა არ არის მხოლოდ გაკვეთილის ჩატარება, სახლში წასულებს კიდევ გვიწევს უამრავი რამის კეთება, თავისუფალი დრო თითქმის არ მრჩება. თუ მაქვს, ვცდილობ მაქსიმალურად დავუთმო ოჯახის წევრებს და მათთან ერთად გავატარო.

- რას ნიშნავს თქვენთვის წარმატება და რამდენად არის ის დამოკიდებული ბედნიერ შემთხვევაზე?

-ჩემი წარმატება იქნება ჩემი მოსწავლეების კარგი მომავალი. ასევე ჩემთვის ნიშნავს, შევძლო, ოჯახსა და პროფესიას თანაბრად გავუმკლავდე.

არ მჯერა შემთხვევების. ადამიანის წარმატება თუ წარუმატებლობა მხოლოდ მასზეა დამოკიდებული. როდესაც მიზანს დაისახავ, აუცილებელია ამ მიზნისკენ სწრაფვა და შრომა, შრომის გარეშე არაფერი მოდის.

- პრიორიტეტები...

-ერთგულება, ჩემთვის ყველაზე ძვირფასი თვისებაა. თუ ერთგულება არ შეუძლია ადამიანს, მასთან ურთიერთობა მიჭირს. ამიტომ ნებისმიერ საქმეში, იქნება ეს ოჯახი, პროფესია, თანამშრომლობა თუ მეგობრობა, უპირატესობას ვანიჭებ ერთგულებას.

-თქვენი მიზნები, რა გიბიძგებთ მიზნების შესრულებისკენ?

- მეუღლე არის ჩემი მყარი საფუძველი იმისა, რომ ყოველთვის ვიბრძოლო მიზნისთვის და არ დავნებდე. ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ვაპირებდი ხელის ჩაქნევას, ყოველთვის მეხმარება და გვერდში მიდგას ყველაზე რთულ მომენტებში. არ მაძლევს საშუალებას და უფლებას, რომ დავეცე. ვგრძნობ, მას ჩემი დიდი იმედი აქვს და არც ეს მაძლევს საშუალებას, რამეზე ხელი ჩავიქნიო. ვერ მივცემ თავს იმის უფლებას, რომ მისი იმედები არ გავამართლო.

- ყველაზე მნიშვნელოვანი რამ თქვენს შესახებ, რაც უნდა იცოდეს საზოგადოებამ

-ხატია მღვდელაძე არის ადამიანი, რომელიც ამჩნევს ყველაფერს, მაგრამ არ ლაპარაკობს ყველაფერზე.

- საყვარელი პოეტი, მწერალი...

-ალბათ ძალიან ბანალურად გამომივა, მაგრამ გალაკტიონი ჩემი საყვარელი პოეტია.

-მომიყევით მეგობრებზე, რა როლი აქვთ მათ თქვენს ცხოვრებაში?

-მეგობრები, ზოგადად, განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრებას. ნამდვილი მეგობრის პოვნა ძალიან რთულია. ყველა ვერ იქნება ნამდვილი მეგობარი. ჩემთვის მეგობარი არის ის ადამიანი, რომელსაც შეგიძლია ენდო, დაეყრდნო და ასევე უპასუხო. მეგობარი ჩემთვის მხოლოდ ერთია.

- მთავარი რჩევა მომავალი თაობებისთვის

-მუდამ იბრძოლონ იმ მიზნისთვის, რომელსაც დაისახავენ. ხელი არასოდეს ჩაიქნიონ და არ იფიქრონ, რომ მათ ეს არ გამოუვათ. არ ვემხრობი იმას, რომ მიზანი ამართლებს საშუალებას. მაშინ ხარ მაგარი, მიზანს ისე მიაღწევ, სხვას არ დააზარალებ, არამედ სხვისთვისაც სასიკეთოს გააკეთებ.

-როგორ ქვეყანაში ისურვებდით ცხოვრებას და თქვენს სამომავლო გეგმებზეც მოგვიყევით

-მშვიდობა - ეს არის მთავარი, რაც ქვეყანას სჭირდება. დანარჩენი (ეკონომიურად ძლიერი, დამოუკიდებელი და ა.შ) ჩვენზეა დამოკიდებული. როგორ საზოგადოებას შევქმნით, როგორ თაობებს აღვზრდით, რას ვასწავლით მათ, რომ შექმნან უკეთესი ქვეყანა. ვისურვებდი ისეთი ქვეყანა შეგვექმნას, არავინ ფიქრობდეს აქედან გაქცევას.

- რა რჩევას მისცემდით მომავალ მასწავლებლებს, რომლებიც დგანან პროფესიული არჩევანის წინაშე და დგამენ პირველ ნაბიჯებს?

-ამ პროფესიაში ჩასაბმელად დარწმუნებული უნდა იყო, რომ ნამდვილად გინდა, თუ გულით არ იმუშავებ ბავშვებთან, აუცილებლად წააწყდები პრობლემებს. ხოლო, თუ დარწმუნებული ხარ შენს არჩევანში, მაშინ ყველაფერი უნდა გააკეთო, რომ იყო საუკეთესო.

-დაგვისახელეთ მომავალი წარმატებული ადამიანი, ვის ხილვასაც ისურვებდით ჩვენს რუბრიკაში, დაუტოვეთ კითხვა

-პირველ რიგში, მინდა მარიამს ვუთხრა დიდი მადლობა ასეთი სიყვარულისთვის და სითბოსთვის. ჩემთვის, როგორც მასწავლებლისთვის, ერთ-ერთი წარმატებაა, როდესაც მოსწავლე ასეთი სიყვარულით საუბრობს შენზე. რაც შეეხება მომავალ რესპოდენტს, რადგან ამ რუბრიკაში მოვხვდი მარიამის წყალობით, მინდა გაგაცნოთ მასსავით ჭკვიანი, გონიერი და მიზანდასახული გოგონა თათია მინდიაშვილი. ვფიქრობ, საინტერესო იქნება მასთან საუბარი და როგორც ,,პოტერჰედს“ დავუტოვებ ასეთ კითხვას: ,,როგორ ფიქრობ, ჰარი პოტერი შეძლებდა ვოლდემორის დამარცხებას, მას რომ თავისი კუთვნილი ჯოხი ჰქონოდა?“

ნონა ხუზმიაშვილი

ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება

ყირიმ–კონგოს ჰემორაგიული ცხელება (CCHF) მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული ვირუსული დაავადებაა. ენდემიური კერები გვხვდება აფრიკასა და აზიაში, ასევე, ბალკანეთში, ახლო აღმოსავლეთში, რუსეთში, თურქეთში და საქართველოში. 2009 წლიდან საქართველოში ყირიმ–კონგოს ჰემორაგიულ ცხელების რამდენიმე ათეული შემთხვევაა აღრიცხული. დღესდღეისობით ყირიმ-კონგოს ცხელების შემთხვევები დაფიქსირებულია საქართველოში.

აღსანიშნავია რომ 2023 წლამადე ყირიმ-კონგოს შემთხვევები აღირიცხებოდა ძირითადად შიდა ქართლსა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ხოლო მიმდინარე წელს ქვემო ქართლის რეგიონშიც დაფიქსირდა ყირიმ-კონგოს შემთხვევა

დაავადების გამომწვევია ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების ვირუსი. დაავადება იწყება შემცივნებით, მაღალი ცხელებით, თავის, კუნთების და სახსრების ტკივილით, რასაც მოსდევს ვირუსემია და ინტოქსიკაცია. ავადმყოფს აწუხებს პირის სიმშრალე, თავბრუ, ღებინება. სახე, კისერი, ლორწოვანი გარსები შეწითლებული აქვს, ზოგჯერ გამოხატულია სიყვითლე. კანზე ჩნდება პეტექიური გამონაყარი (წითელი ლაქები), სისხლჩაქცევები, აგრეთვე შასაძლებელია განვითარდეს სისხლდენა სხვადასხვა ღრუებიდან. სისხლში აღინიშნება ლეიკოპენია, ნეიტროფილების მარცხნივ გადახრა, მომატებული ედს-ი, გამოხატულია თრომბოციტოპენია.

დაავადების მძიმე ფორმის შემთხვევაში ლეტალური გამოსავალი დგება ავადობის მე–2 კვირას. ლეტალობის მაჩვენებელი 5-50%.

დაავადების ინკუბაციური პერიოდი ტკიპის კბენით ვირუსის გადაცემის შემთხვევაში არის 1–3 დღე, დაინფიცირებულ სისხლთან და ქსოვილებთან კონტაქტისას 5–6 დღე, მაქსიმალური ინკუბაციური პერიოდი 13–14 დღეა.

ადამიანი უფრო ხშირად ინფიცირდება ტრანსმისიულად (ტკიპების კბენით, ტკიპის გასრესვით), ავადმყოფი ცხოველების სისხლთან და ქსოვილებთან უშუალო კონტაქტით. ადამიანიდან ადამიანზე ვირუსის გადაცემა შესაძლებელია დაავადებული ადამიანის სისხლთან და ბიოლოგიურ სითხეებთან შეხებისას, სამედიცინო მანიპულაციების დროს.

იქსოიდური ტკიპები ვირუსის რეზერვუარებიც არიან და გადამტანებიც, განსაკუთრებით სახეობა ჰიალომა (Hyalomma,), რომელიც საქართველოშიც არის გავრცელებული. მრავალრიცხოვანი გარეული და შინაური ცხოველები, რომლებზეც ტკიპები პარაზიტობენ ვირუსის დროებითი რეზერვუარებია. ცხოველებში დაავადება უსიმპტომოდ მიმდინარეობს ან ვლინდება აბორტების სახით.

ყირიმ–კონგოს ჰემორაგიული ცხელებით ნებისმიერი ადამიანი შეიძლება გახდეს ავად, თუ აქვს შეხება ინფიცირებულ რეზერვუართან (ტკიპი, ცხოველები, ადამიანი). დაავადებისადმი მგრძნობიარეა ყველა ასაკი და ორივე სქესი. დაავადების გადატანის შემდეგ ადამიანს უვითარდება მყარი იმუნიტეტი, სავარაუდოდ მთელი სიცოცხლის მანძილზე.

რისკის ჯგუფში შედიან სოფლის მეურნეობის მუშაკები, მესაქონლეები, ცხოველთა სასაკლაოს მუშაკები, ვეტერინარები, სამხედროები, მოგზაურები (ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების ენდემიურ რეგიონებში), განსაკუთრებით, მედიცინის სფეროს მუშაკები. შემთხვევები ხშირდება ივნის-სექტემბერში და უკავშირდება გადამტანის აქტივობას გარემოში.

აუცილებელია შემდეგი პრევენციული ღონისძიებების გატარება:

- სასოფლო–სამეურნეო სამუშაოების შესრულებისას, ტკიპების საწინააღმდეგოდ, პირადი პროფილაქტიკის დაცვა (სპეცტანსაცმელი, რეზინის ფეხსაცმელი, ხელთათმანები). ტანსაცმლის და ფეხსაცმლის დამუშავება აკარაციდებით;
- კანის რეპელენტების გამოყენება
- ინფექციის კონტროლი სამედიცინო დაწესებულებებში: ხელის ჰიგიენა, პირადი დამცავის აღჭურვილობა, უსაფრთხო ინექციის პრაქტიკა
- ცხოველების დამუშავება აკარიციდებით ხოლო მათი სადგომების ინსექტიციდებით (ადრე გაზაფხულსა და ზაფხულში); ავადმყოფი ცხოველის იზოლაცია და მკურნალობა/ზრუნვა; დაკვლაში მონაწილეობისას ხელთათმანების გამოყენება;
- ტკიპი ადამიანის კანიდან მოცილებული უნდა იყოს დაუყოვნებლივ, პინცეტის მეშვეობით, ისე რომ კანში არ ჩარჩეს ტკიპის პირის ნაწილები;

პაციენტმა დაავადების კლინიკური ნიშნების გამოვლენისთანავე უნდა მიმართოს სამედიცინო დაწესებულებას, რათა ექიმის მიერ მოხდეს დროული და ზუსტი დიაგნოსტირება და შესაბამისი მკურნალობა. გასათვალისწინებელია კონტაქტირებულ ადამიანებზე კონტროლი მაქსიმალური ინკუბაციური პერიოდის განმავლობაში. დიაგნოზის დასმაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეპიდემიოლოგიურ ანამნეზს. დიაგნოზის დაზუსტებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ლაბორატორიულ დიაგნოსტიკას.

ა(ა)იპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

ლევან ქუქჩიშვილის მარანში ქართველ და აზერბაიჯანელ მხატვართა ნამუშევრების ერთობლივი გამოფენა მოეწყო

„ლევან ქუქჩიშვილის არტ მარანში“ გარდაბნელი, დმანისელი და თბილისელი მხატვრების ერთობლივი გამოფენა მოეწყო.

საიდა ზახაროვა-ჯაიანი, ქეთი კავილაძე, ავთანდილ ნარსავიძე, ხათუნა სონღულაშვილი და გაშამ სულეიმანოვი თავიანთი შემოქმედებით საზოგადოებას შეახსენებენ, რომ ქართველი და აზერბაიჯანელი ერი მეგობრული ურთიერთობით ერთად ქმნიან ქვეყნის მომავალს.

ექსპოზიციაში წარმოდგენილია ტილოზე ზეთით, მუყაოზე აკრილით, პასტელით, აკვარელით; ინკრუსტაციის ტექნიკითა და მინაზე ვიტრაჟის საღებავებით შესრულებული ნამუშევრები.

რეგიონებში მხატვრების შემოქმედების გამოფენა მიზნად ისახავს მათი ნახატების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობას.

,,არტ მარანში“ წარმოდგენილი ნამუშევრების დათვალიერება და მხატვრებთან გასაუბრება საზოგადოებას მთელი დღის მანძილზე შეეძლო, აქ მოსულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ და დაეგემოვნებინათ ორი საუკუნის წინ შვაბი გერმანელების მიერ აშენებულ მარანში, ახალგაზრდა მეღვინის ლევან ქუქჩიშვილის მიერ დაყენებული 2022 წლის ღვინოები.

ფეინთბოლის ჩემპიონატი ბოლნისში

ბოლნისის მუნიციპალიტეტმა, სპორტის ახალ მიმდინარეობას, ფეინთბოლის ადგილობრივ ჩემპიონატს უმასპინძლა. სპორტის სახეობა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში 2016 წლიდან ფორმირდება, საქართველოს მასშტაბით ჩემპიონატს მართავს, რომელმაც სტარტი ივნისის თვეში აიღო და ოქტომბერში დასრულდება, თითოეულ მუნიციპალიტეტში გამოვლენილი და გამარჯვებული გუნდები თბილისში, ფეინთბოლის არენაზე, ფინალში ითამაშებენ და გამოვლინდება წლის ჩემპიონი გუნდი.

ფეინთბოლის ბოლნისის ჩემპიონატში მონაწილეობა, ნებისმიერ მსურველს, 15-29 წლის ჩათვლით შეუძლია. ფოლადაურის საბანაკე ტერიტორიაზე გამზადდა არენა, 6 გუნდად გადანაწილებულ მოთამაშეებს, ჩაუტარდათ მცირე ინსტრუქტაჟი და უსაფრთხოების მიზნით, შეიმოსნენ სპეციალური ეკიპირებით.

ერთ-ერთი ყველაზე ექსტრემალური სპორტი, რომელიც ძალასა და ენერგიასთან ერთად, გარკვეულ უნარ-ჩვევებსაც მოითხოვს, ძალიან აზარტული აღმოჩნდა ბოლნისელებისთვის. გამარჯვებულის გამოსავლენად, შეხვედრები უსაფრთხოების წესების სრული დაცვით ჩატარდა, გამოვლინდა გამარჯვებული გუნდიც, რომელსაც გადაეცა თასი. ფეინთბოლი 2023- ის ვინაობა კი ოქტომბრის თვეში ფინალური შეხვედრების დროს გახდება ცნობილი. აღნიშნული ტურნირი ემსახურება

ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციას და მიზანად ისახავს, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა დაკავდეს სპორტით.

Muzeydə layihənin yekun tədbiri

Bolnisi muzeyinin konfrans zalında Vətəndaş Bərabərliyi Platforması qeyri-hökumət təşkilatının "Kənd yerlərində yaşayan gənclərin fərdi inkişafı və maarifləndirilməsinin təşviqi" layihəsinin yekun görüşü keçirilib. Sözügedən layihə 6 ay ərzində müxtəlif maarifləndirici tədbirlərlə həyata keçirilib, 200-dən çox gənc iştirak edib. Layihə Gənclər Agentliyi tərəfindən maliyyələşdirilir, məqsədi Bolnisi bələdiyyəsində yaşayan gənclər üçün formal və qeyri-rəsmi təhsilin əlçatanlığını artırmaq, gənclərin maarifləndirməsini təmin etmək, analitik müstəqil öyrənməni inkişaf etdirmək, icma mərkəzlərinin inkişafına kömək etmək-dir. gənclərdə yaradıcılıq, tənqidi düşüncə və ekoloji səriştələr. Layihənin yekun tədbirlərində Gürcüstan parlamentinin üzvü Qoqi Meşveliani, Bolnisi bələdiyyəsi merinin birinci müavini Buba Qobejişvili və mədəniyyət mərkəzinin rəhbərləri iştirak ediblər. Görüşün sonunda layihədə iştirak edən bütün iştirakçılar təşəkkürnamə ilə təltif edilib.

Bələdiyyə rəhbərləri Naxiduri kəndində fəaliyyət göstərən fiziki və əqlli məhdudiyyəti olan şəxslərin Gündüz Reabilitasiyası və Sosial Adaptasiyası Mərkəzini Uşaqların Beynəlxalq Müdafiəsi Günü münasibətilə təbrik ediblər

Naxiduri kəndində xüsusi təhsilə ehtiyacı olan və sağlamlıq imkanları məhdud şəxslər üçün Reabilitasiya və sosial adaptasiya gündüz mərkəzində Uşaqların Beynəlxalq Müdafiəsi Günü ilə əlaqədar tədbir təşkil olunub. Tədbirdə mərkəzin benefisiarları və müğənni Şaban Məmmədov iştirak edib. Tədbirdə Bolnisi, Dmanisi, Tetritskaro və Tsalkanın majoritar deputatı Qoqi Meşveliani, Bolnisi bələdiyyəsinin meri Davit Şerazadişvili, merin birinci müavini Buba Qobejişvili, mer müavini Valentina Naverian və Bolnisi Bələdiyyə Şurasının birinci müavini Giorgi Mirianaşvi iştirak edib. "Uşaqların Beynəlxalq Müdafiəsi Günü münasibətilə bütün uşaqları təbrik edirəm! Onların dinc, xoş, xoşbəxt və gülərüz həyatı olmalıdır. Biz uşaqlar üçün təhlükəsiz mühit yaratmaq üçün hər şeyi etməliyik. Burada mən Naxiduri kəndinin reabilitasiya mərkəzinin rəhbəri Qocha Vardosanidzeyə və onun komandasına zəhmətinə görə təşəkkür etmək istəyirəm. Onlar hər gün uşaqlarımızın qayğısına qalır və onları cəmiyyətə uyğunlaşmaq üçün hazırlayırlar", – Qoqi Meşveliani bildirib. "Uşaqların Beynəlxalq Müdafiəsi Günü münasibətilə sizi təbrik edir, mərkəzin hər bir benefisiarına xoşbəxt həyat arzulayıram. Yerli özünüidarənin ən mühüm məqsədlərindən biri bələdiyyələr səviyyəsində vətəndaşlarımızın bərabər imkanlara malik olacağı inklüziv mühit yaratmaqdır. Bu, kifayət qədər mürəkkəb məsələdir və biz bu məqsədə nail olmaq üçün fəal işləyirik. Yerli özünüidarə hər zaman fiziki və əqli məhdudiyyəti olan şəxslərin, xüsusilə də uşaqların yanında olacaq və biz sizin həyat şəraitinizi mümkün qədər yaxşılaşdırmağa çalışacağıq", - deyə Bolnisi Bələdiyyəsinin meri Davit Şerazadişvili bildirib.

Daxili İşlər Nazirliyi uşaq yaşda nikahlara qarşı "Uşaqlığınızı əlinizdən verməyin" adlı məlumat kampaniyasına başlayıb

Daxili İşlər Nazirliyi ənənəvi olaraq iyunun 1-dən BMT-nin Əhali Fondu ilə birgə "Uşaqlığınızı əlinizdən verməyin" adlı məlumat kampaniyasına start verib. Kampaniya eyni vaxtda bir neçə regionda aparılır. Bolnisi Bələdiyyəsində Bolnisi Gender Məsələləri Departamentinin təşkilatçılığı ilə Daxili İşlər Nazirliyinin İnsan Hüquqlarının Müdafiəsi və İstintaqın Keyfiyyətinə Nəzarət Departamentinin xüsusilə mühüm işlər üzrə müfəttişləri - Mariam Toklikişvili və Lika Tsaavanın kitabxana zalında keçirdiyi görüş keçirilib. İclasda Bolnisi bələdiyyəsinin gender bərabərliyi şurasının sədr müavini Feride Tvildiani, şəhər şurasının üzvləri, meriyanın gender şöbəsinin və meriyanın tabeliyində olan təşkilatların nümayəndələri iştirak ediblər. Mariam Toklikişvili və Lika Caava ənənə halını almış və uşaq nikahlarına qarşı yönəlmiş kampaniyadan danışıblar. Görüşün əsas məqsədi uşaq yaşlarında nikahla bağlı cinayətlərin aradan qaldırılması, ictimaiyyətin maarifləndirilməsi və bu kateqoriyadan olan cinayətlər barədə hüquq-mühafizə orqanlarının əməkdaşlarına vaxtında məlumat verilməsi olub. Kampaniya çərçivəsində maarifləndirici plakatlar çap edilib, köynəklər, çantalar və digər brend materiallar hazırlanıb ki, onlar kampaniya zamanı məktəb rəhbərliyinə və digər maraqlı şəxslərə çatdırılacaq. Kampaniya çərçivəsində rəsm müsabiqəsi də keçiriləcək. Bu kampaniya

artıq dördüncü ildir ki, Birləşmiş Millətlər Təşkilatının Əhali Fondunun (UNFPA) Gürcüstan ofisi ilə birgə BMT-nin birgə proqramı - "Gender bərabərliyi naminə" çərçivəsində İsveçin maliyyə dəstəyi ilə həyata keçirilir. bir ay davam edəcək və bir sıra tədbirləri əhatə edəcək

Kvemo Kartli Gənclər Forumu

Birləşmiş Millətlər Təşkilatının İnkişaf Proqramının "Gürcüstanda yerli səviyyədə qeyri-mərkəzləşdirmə və yaxşı idarəetmənin təşviqi" layihəsinin "Kvemo Kartlidə gənclərin vətəndaş fəallığının gücləndirilməsi" layihəsinin icmal gənclər forumu keçirilib, burada bütün regionun layihəsinə qoşulan məktəblər iştirak edib. Meriyanın konfrans zalında Kvemo Kartli Gənclər Forumu dövlət himninin səsləndirilməsi ilə açılıb, daha sonra 80-ə yaxın tələbə bütün məktəblər tərəfindən irəli sürülən məruzəçini seçib. Görüş formatında gənclər tematik videoçarxlar təqdim ediblər, problemin həlli yollarını müzakirə ediblər və layihənin hazırlanmasının xüsusiyyətləri və təcrübəsini bölüşüblər. Kvemo Kartli Gənclər Forumunda Bolnisi Bələdiyyəsinin meri Davit Şerazadişvili və layihənin eksperti Ana Kebadze iştirak edib. Birləşmiş Millətlər Təşkilatının İnkişaf Proqramının "Gürcüstanda Yerli Səviyyədə Mərkəzsizləşdirmə və Yaxşı İdarəetmənin Təşviqi" məqsədi Kvemo Kartli tələbə-gənclərinə, o cümlədən milli azlıqların nümayəndələrinə vətəndaş kimi rollarını dərk etmək və şəxsi inkişaflarını bacarıqlarını təkmilləşdirmək üçün dəstək olmaqdır. Bu layihə gənclərin regionun və ölkənin inkişafı prosesinə vətəndaş cəlb olunmasını təşviq edir.

სიახლეები

არემჯი

რიჩ მეტალს გრუპი

ბოლნისის ადგილწარმოშობის ღვინის ფესტივალი 2023

ბოლნისში, ძველ გერმანულ უბანში, დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის ფესტივალი ,,ბოლნისი - ოქროსფერი ღვინის ქალაქი'' გაიმართა. ფესტივალმა, საქართველოს სხვადასხვა კუთხის 70 - მდე ღვინის მარანი ერთ სივრცეში გააერთიანა, რომლებიც საქართველოდან და ამერიკიდან ოფიციალურად მოწვეულ დეგუსტატორებს, სომელიეებს, ღვინის მწერლებს, ექსპერტებს, და სტუმრებს უნიკალური თვისებებით დაჯილდოებულ, ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონკურსებში გამარჯვებული ღვინოების დაგემოვნებას სთავაზობდნენ.

არემჯის ბოლნისური მეღვინეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ბოლნისი უკვე მესამე წელია მასპინძლობს ღვინის ღონისძიებას,ხოლო ,,ბოლნისი - ოქროსფერი ღვინის ქალაქი'' დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის ფესტივალის სახელით წელს პირველად ჩატარდა.

გეოგრაფიული ადგილის დასახელება ღვინის მახასიათებლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მანიშნებელია, რომელიც ამ ნიშნით აღიარებულ ღვინოებს სხვა ღვინოებისგან უპირატესად წარმოაჩენს.

ფესტივალის მიზანი სწორედ მეღვინეთა შორის ადგილწარმოშობის ოფიციალური ნიშნის შესახებ პოპულარიზაცია და ცნობადობის გაზრდა იყო.

ფესტივალის ფარგლებში, ღვინის კონკურსში გამარჯვებული მეღვინეების დაჯილდოების ცერემონიალი მოეწყო. დიდი ოქროს, ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მფლობელი ღვინოები საქართველოში და ამერიკაში მოღვაწე სომელიების და ექსპერტებისგან დაკომპლექტებულმა ჟიურიმ გამოავლინა. განსხვავებული გემოვნური თვისებებისა და არომატის მქონე ბოლნისური ღვინოები კონკურსში დიდი ოქროს, ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდნენ.

დიდი ოქრო: ,,მუხიგული 1770'' - რქაწითელი 2019, ,,შალოს მარანი" რქაწითელი 2019.

ოქრო: ,,ქობულაძის მარანი'' - საფერავი 2022, ,,ძმების მარანი'' - თავკვერი 2022.

ვერცხლი: ,,ქობულაძის მარანი'' - საფერავი 2020-2021; ,,გილანი'' - რქაწითელი 2020-2022. ,,ბოლნისი ძველი მარანი'' - რქაწითელი 2022.

„საქართველოში პირველად ჩატარდა დაცული ადგილწარმოშობის ღვინის ფესტივალი, ეს არის დიდი სტიმული მეღვინეებისთვის, რადგან ადგილწარმოშობა ღვინის მნიშვნელოვანი ნიშაა. ამ ფესტივალზე შეკრების მიზანია, კარგად გავაცნოთ საზოგადოებას ბოლნისი, ჩვენი ღვინოები და შევთავაზოთ საუკეთესო ხარისხის ღვინო. ამ ჯილდოს მოპოვება ჩემთვის ძალიან დიდი სიხარული და ბედნიერებაა. ეს არის დიდი შრომის შედეგი და დაფასება ჟიურის წევრებისგან." - იოსებ მუხიგულაშვილი, მეღვინეობა „მუხიგული 1770''

ღონისძიებაზე , ძველ გერმანულ უბანში ქართულ-გერმანული ღვინის სახლი გაიხსნა, რომელიც ექსკლუზიურად ბოლნისური ღვინოების სადეგუსტაციო სივრცე იქნება. საუკუნოვანი გერმანული სახლის სრული რესტავრაცია-რეაბილიტაცია კომპანია არემჯის ინიციატივითა და მხარდაჭერით, ასევე „სამხრეთ კავკასიაში გერმანული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კავშირის" ჩართულობით განხორციელდა.

„გავხსენით ქართულ-გერმანული ღვინის სახლი, რომლის სარდაფშიც მდებარეობს ძველი გერმანული მარანი. ამ სახლში ადგილობრივ მეღვინეებს შეეძლებათ წარმოადგინონ თავიანთი ღვინოები, სტუმრებს კი - ღვინოების დეგუსტაციის და შეძენის შესაძლებლობა ექნებათ. სახლის მეორე სართულზე მოეწყო სატრენინგო ოთახი და ბიბლიოთეკა, ხოლო მანსარდაში - მცირე საგამოფენო სივრცე. ამასთან, სახლის ეზო გვაძლევს კარგ შესაძლებლობას ვუმასპინძლოთ ღვინის თუ სხვა მსგავს ღონისძიებებს.

დარწმუნებული ვარ, ეს პლატფორმა გააძლიერებს ბოლნისურ მეღვინეობას."- კახაბერ მჭედლიშვილი, არემჯის კორპორაციული დირექტორი.

ქართულ-გერმანულ ღვინის სახლში სომელიეს მასტერკლასი, ლიზა გრანიკის ქართული ღვინის შესახებ გამოცემული წიგნის განხილვა და ღვინის სამაგიდო თამაშები გაიმართა.

საღამო ნიაზ დიასამიძისა და ჯგუფი 33ა-ს კონცერტით დაიხურა.

„ბოლნისი - ოქროსფერი ღვინის ქალაქის" წარმდგენია კომპანია არემჯი. ფესტივალი ღვინის ეროვნული სააგენტოს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის, აგროცენტრისა და საქპატენტის მხარდაჭერით გაიმართა.

მზია სტოლიარენკო

კომპანია არემჯის ფლოტატორი

მზია სტოლიარენკო კომპანია არემჯიში უკვე 47 წელია მუშაობს, როგორც თავად ამბობს ცხოვრების საუკეთესო წლები აქ გაატარა. მისთვის სამსახური არის ადგილი, სადაც მისვლა ყოველთვის უხარია, „თუ შენი საქმე და გვერდში მდგომი არ გიყვარს, იქ დიდხანს ვერ გაძლებ, სამსახური ჩემთვის ბევრს ნიშნავს, შემოსავლის წყაროს გარდა აქ არიან ადამიანები, რომელთან ერთადაც გავიარე ბევრი წლები, მათთან უამრავი რამ მაკავშირებს. დღესაც ენერგიით და ხალისით ვაკეთებ ჩემთვის საყვარელ საქმეს".

კომპანიაში მუშაობა 1976 წელს ფლოტატორად დაიწყო და დღემდე ამ პოზიციაზე მუშაობს. წლებმა და გამოცდილებამ ბევრი რამ ასწავლა. „ჩემი პროფესია ძალიან საინტერესოა და არც ისე რთული, თუმცა ყველა საქმეს სჭირდება პასუხისმგებლობა და ყურადღება. წლების მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ამ გადმოსახედიდან საქმე მეტად გაამარტივა ახალმა ტექნოლოგიებმა და დანადგარებმა. მართალია წლები მემატება, მაგრამ ხელმძღვანელების გვერდში დგომით ყოველგვარ სიახლეს დაბრკოლების გარეშე ვუმკლავდები, როცა გიყვარს შენი პროფესია და ხალისით უდგები საქმეს, მაშინ ადვილად ართმევ თავს. მთავარია სიყვარულით მიუდგე ყველა დაკისრებულ მოვალეობას".

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი: მაგდა დევნოზაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი.

სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.